ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 3/289

ქ. თბილისი „28" „ივლისი", 2015 წელი

შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 19 სექტემბრის №1771 განკარგულების შესაბამისად

ერთის მხრივ სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო" (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ნიკოლოზ ანთიძის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „არქიტექსი"** (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ვლადიმერ ტეფნაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანია სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს" ბიუჯეტის სახსრებით ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის გადარჩენის გეგმის მულტიდისციპლინარული კომპლექსური კველებისა და შესაბამისი ფიზიკური სამუშაოების განხორციელების ფარგლებში არქეოლოგიური მომსახურების შესყიდვა **(CPV კოდი 71351914)** წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2. ხელშეკრულების ობიექტია: ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის ტერიტორიაზე დამატებითი არქეოლოგიური სამუშაოების წარმოება, რომელიც განისაზღვრება ტექნიკური დავალების და სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად. შესყიდვის ტენიკური დავალება და ხარჯთაღრიცხვა თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (იხ. დანართი #1 და დანართი #2).

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **49991,04 (ორმოცდაცხრა ათას ცხრაასოთხმოცდათერთმეტი ლარი და 04 თეთრი) ლარს** ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების ჩათვლით.

2.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

3.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

3.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს" თანამშრომლები: გიორგი გორდელაძე, დიანა ბოლოთაშვილი, ზურაბ გიორგაძე, კახა ზაზაძე.

4. მომსახურების გაწევის პირობები და ვადები

4.1 წარმოდგენილი პირობებისა და ვადების ფარგლებში მიმწოდებელმა საბოლოო პროდუქციის სახით შემსყიდველს უნდა გადასცეს არქეოლოგიური კვლევის ჩატარების შედეგები ტექნიკური დავალების შესაბამისად.

4.2 სამუშაოს შესრულების ადგილია - ასპინძის მუნიციპალიტეტი, ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსი.

4.3 შესრულებულ სამუშაოთა ანგარიშის ჩაბარების საბოლოო ვადაა 2015 წლის 30 ნოემბერი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელი ატყობინებს შემსყიდველს მომსახურების დასრულების შესახებ.

5.2. გაწეული მომსახურების მიღება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ, მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირ(ებ)ს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების 3.5 მუხლში მითითებული პირები).

5.3. შემსყიდველი ამოწმებს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების სრულყოფილებას, მიმწოდებლის მიერ შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

5.4. სამუშაოების დასრულების შემდგომ ხელშეკრულების 4.8 მუხლში აღნიშნული პირების მიერ შემოწმების შედეგად შედგება შესაბამისი დასკვნა და მიღება-ჩაბარების აქტი.

5.5. თუ გაწეული მომსახურება არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი დადგენილი წესის შესაბამისად მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს.

5.6. მიმწოდებელი ვალდებულია წუნის (დეფექტების) აღმოჩენის შესახებ შესაბამისი აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის ვადაში აღმოფხვრას ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილი დეფექტები.
5.7. თუ შემსყიდველმა გაწეული მომსახურება შეაფასა წუნით, დასრულებულად ჩაითვლება მომსახურება დეფექტების აღმოფხვრის შემდეგ.
5.8. შესყიდვის ობიექტის მიღება განხორციელდება მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის საფუძველზე (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირ(ებ)ს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების 3.5 მუხლში მითითებული პირები).
5.9. მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

6. ანგარიშსწორება
6.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.
6.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.
6.3 ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.
6.4. წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოადგინოს ავანსის სახით გადასახდელ თანხაზე საავანსო საბანკო გარანტია(არაუმეტეს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 30%), რომლის მოქმედების ვადა 60 (სამოცი) დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტის მიწოდების ვადას. საავანსო თანხის გადახდა მოხდება შესაბამისი საბანკო გარანტიის წარმოდგენის დღიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7. ფასები
7.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.
7.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.
7.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.
7.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
7.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
8.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
8.2 შემსყიდველი ვალდებულია:
8.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
8.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას აცნობოს მიმწოდებელს ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;
8.2.3.ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.
8.3. შემსყიდველს უფლება აქვს:
8.3.1განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;
8.3.2. განახორციელოს კონტროლი შესაბამისი დოკუმენტაციის შედგენისას;
8.3.3. მიიღოს მიმწოდებლისგან სათანადო წესით გაფორმებული დოკუმენტაცია.
8.3.4. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმდება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება;
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
8.4.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები; დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით;
8.4.2. <u>მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებისთანავე, არქეოლოგიური სამუშაოების დაწყებამდე გადაიხადოს სანებართვო მოსაკრებელი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის მისაღებად 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით არქეოლოგიური სამუშაოების პროექტთან ერთად და აიღოს შესაბამისი ნებართვა ხელშეკრუბების გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.</u>
8.4.3. დოკუმენტაციაზე რაიმე შენიშვნების აღმოჩენის შემთხვევაში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას იგი, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;
8.5 დოკუმენტაცია წარადგინოს ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ ფორმატში.
8.6. მიმწოდებელს უფლება აქვს:
8.6.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა
9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა

10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.3%-ის ოდენობით.

11.2 ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულებისას ინსპექტირების ჯგუფის მიერ წუნის (დეფექტების) აღმოჩენის შემთხვევაში საჯარიმო სანქციების ათვლა მოხდება შესაბამისი აქტის გაფორმების თარიღიდან.

11.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

12.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესმყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

12.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.5 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

12.6 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუკი მიმწოდებლის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების დარღვევის პერიოდი აღემატება 15 კალენდარულ დღეს.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

15. გამოყენებული სამართალი

15.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. შეტყობინება

16.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

16.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

17. გადასახადები და დაბეგვრა

17.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

17.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან, 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

19. სხვა პირობები

19.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

19.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

19.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

19.4 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

19.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

21. მხარეთა რეკვიზიტები:

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“	შპს „არქიტექსი“
მის: ქ. თბილისი, თაბუკაშვილის #5	მის: ქ. თბილისი,
სახელმწიფო ხაზინა	ზემო ვაკის ქ.-ის ბოლო, 8,6
კოდი: TRESGE22	ს.ს. „საქართველოს ბანკი“
ა/ა # GE24NB0330100200165022	კოდი: BAGAGE22
ს/კოდი: 204562311	ა/ა # GE57BG0000000863962100
	ს/კოდი: 404479408
გენერალური დირექტორი	**დირექტორი**
ნიკოლოზ ანთიძე	ვლადიმერ ტეფნაძე

ტექნიკური დავალება

ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის არქეოლოგიური სამუშაოები

ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსი ქართული მრავალსაუკუნოვანი კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლია, იგი უშუალოდ უკავშირდება საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ გამორჩეულ ფიგურას - თამარ მეფის სახელს. ადგილის შერჩევა განპირობებული იყო კლდის საუკეთესო სამშენებლო თვისებებით, ხელსაყრელი ადგილმდებარეობით, საყოფაცხოვრებო, სამხედრო თვალსაზრისით და აგრეთვე აქ სასმელი წყლის არსებობით, ვარძიის აღნაგობა დაფუძნებულია წინასწარ დამუშავებულ კომპოზიციურ იდეაზე: საცხოვრებელთა მრავალსართულიანი განლაგება კლდის უბის სიღრმეში ჩასმული ცენტრის - ღმრთისმშობლის მიძინების ტაძრის გარშემო. ტაძარი ჰყოფს ანსამბლს ორ არათანაბარ - დასავლეთისა და აღმოსავლეთის ნაწილებად. არც ერთი სართული არ კვეთს მონასტრის ამ კომპოზიციურ ცენტრს. მთავარი არქიტექტურული ელემენტი, რომელიც გამოჰყოფს და განასხვავებდა ვარძიას მის წინამორბედ უდაბნო-მონსატრებისაგან, არის გახსნილი თაღებით გაფორმებული კარაპანი -კარიბჭე კლდის სახლების წინ. კარიბჭეებს შიროს გაჭრილი ღიადებითა და მოკლე გვირაბებით ხორციელდება კავშირი სახლებს შორის ჰორიზონტალზე, სართულების გასწვრივ. ვარძიის მონასტრის მეტად საინტერესო სათავსოთა რიგს განეკუთვნება: სატრაპეზო პურის საცხობით, ლითონის დამამუშავებელი სახელოსნო უჩვეულო კონსტრუქციით, მღვალოთახიანი სახლები ინდივიდუალური ეკლესიებით. ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის საინჟინრო-არქიტექტურულ ღირებულებას წარმოადგენს თავდაცვითი სამალავისა და საირიგაციო ნაგებობათა - წყალსადენის გვირაბისა და სარწყავი არხების რთული სისტემა.

სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს გამოივლინდა ახალი გამოქვაბულებისა და გვირაბების სისტემა, რომლის სრულყოფილი არქეოლოგიური შესწავლაა საჭირო.

❖ **ძირითადი პირობები**

მიმწოდებელი შემსყიდველთან შეთანხმებული სამუშაოების გრაფიკის შესაბამისად, სამუშაოების დამთავრებისთანავე წარუდგენს მას ინფორმაციას წერილობითი ანგარიშის სახით გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ. იგი ვალდებულია გაითვალისწინოს შემსყიდველის შენიშვნები და წინადადებები, რაც შემდგომში საფუძვლად დაედება შესრულებული სამუშაოების ანაზღაურებას.

შესრულებული სამუშაოების ანგარიში შემსყიდველს წარედგინება სამ ეგზემპლარად: ელექტრონული ვერსია – კომპაქტური დისკების (CD) სახით (3 ეგზემპლარი), მყარი ასლების სახით (3 ეგზემპლარი), ტექსტური და გრაფიკული მასალის დოკუმენტირებით.

მიმწოდებელი ვალდებულია რეაბილიტაციის დაწყებამდე ძეგლზე დაამონტაჟოს ჩასატარებელი სამუშაოების ამსახველი საინფორმაციო ბანერი, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მესაკუთრე;
- შემსყიდველი;
- მიმწოდებელი;
- ჩასატარებელი სამუშაოს სახეობა.

უნდა ჩატარდეს შემდეგი სამუშაო:

- ჰუმუსოვანი ფენის მოხსნა 450მ2 ფართობზე;
- აღმოჩენილი ქვაბულების არქეოლოგიური შესწავლა;
- ტერიტორიაზე არსებული დიდი ზომის ქვის ლოდების დაშლა;
- შესასწავლი ტერიტორიის და მასზე არსებული ობიექტების ფიქსაცია (ფოტო და ვიზუალური აღწერის მასალები)
- შესასწავლი ტერიტორიის საარქივო მასალების მოძიება;
- მოძიებული მასალის ანალიზი ტერიტორიაზე მოპოვებულ პირველად მასალასთან;
- ტერიტორიის სიტუაციური გეგმა;
- საკვლევი ტერიტორიის კვადრატებად დაყოფის სქემა;
- გამოვლენილი ძეგლების განლ;აგების სქემა და ანაზომი;
- შურფების განლაგების სქემა;
- კროკები და გამოხაზული ნახაზები და ტექსტური მასალა.

<u>სამუშაოების ჩატარებისას ყურადღება უნდა მიექცეს სამუშაოთა შესრულების ხარისხობრივ მაჩვენებელს.</u>

სამუშაოების მიმდინარეობისას ახლადგამოვლენილი გარემოებ(ებ)ის გამოვლენისა და მისი დასაბუთების შემთხვევაში, პროექტიდან რაიმე გადახვევა (ან მასში ცვლილება), შეთანხმებულ უნდა იქნეს შემსყიდველთან.

- **შემსყიდველისთვის გადასაცემი საბოლოო პროდუქცია**

წარმოდგენილი პირობებისა და ვადების ფარგლებში მიმწოდებელმა საბოლოო პროდუქციის სახით შემსყიდველს უნდა გადასცეს შესრულებული სამუშაოები, შესრულებული სამუშაოების ანგარიში (საქართველოს კანონის „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" მოთხოვნათა შესაბამისად), შესრულებული სამუშაოების აქტები (ფორმა 2) და ფარული სამუშაოების აქტები (საჭიროების შემთხვევაში).

- **ნორმატიული დოკუმენტები**

მუშაობის პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მიხედვით.

- **სამუშაოთა საბოლოო მიღება**

მიმწოდებელი ატყობინებს შემსყიდველს სამუშაოთა დასრულების შესახებ, თანახმად გეგმა-გრაფიკისა. შემსყიდველი ამოწმებს შესრულებულ სამუშაოებს. თუ შემსყიდველმა სამუშაოები შეაფასა წუნით, დასრულებულად ჩაითვლება სამუშოები, დეფექტების აღმოფხვრის შემდეგ.

- **სამუშაოთა შესრულების ვადები**

შესრულებულ სამუშაოთა ანგარიშის ჩაბარების საბოლოო ვადაა 2015 წლის 30 ნოემბერი.

ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის არქეოლოგიური სამუშაოები

ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოების დასახელება	განზ.	რაოდენობა	ერთ. ფასი	სულ
1	2	3	4	5	6
	I. ფიზიკური სამუშაოები				
1	ჰომუსოვანი ფენის მოხსნა 450 კვმ. ფართობზე. სიღრმით საშუალოდ 20 სმ.	მ³	90	25	2250.00
2	450 კვმ. ფართობზე აღმოჩენილი გამოქვაბულების არქეოლოგიური შესწავლა. სიღრმით საშუალოდ 1.2 მ.	მ³	540	35	18900.00
3	ტერიტორიაზე არსებული დიდი ზომის ქვის ლოდების დაშლა.	მ³	35	85	2975.00
4	ნაყარი გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცლელზე და გატანა 5 კმ-ზე.	მ³	540	15	8100.00
	I თავის ჯამი				32225.00
№	სამუშაოების დასახელება	ღირებულება			
	II. კვლევითი სამუშაოები				
1	შესწავლილი ტერიტორიისა და მასზე არსებული ობიექტების ფიქსაცია, მათ შორის ფოტო და ვიზუალური აღწერის მასალები	750.00			
2	შესწავლილი ტერიტორიის (ობიექტის) ისტორიულ–ბიბლიოგრაფიული და საარქივო კვლევის მასალები, შესაბამისი წყაროების მითითებით. კერძოდ: სამუზეუმო და საარქივო მასალების (არსებობის შემთხვევაში – ისტორიული რუკები და გენერალური გეგმები, ისტორიული საკადასტრო და ნაგებობების გეგმები, არქივებში დაცული, ტერიტორიის ამსახველი ფოტომასალა, კოსმოსური და აეროფოტომასალები) მოძიება	1500.00			
3	შესწავლილ ტერიტორიაზე მოპოვებული პირველადი ინფორმაციის საარქივო მონაცემებთან მიმართების ანალიზი	1500.00			
4	შესწავლილი ტერიტორიის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა (მასშტაბი 1:2000 და 1:500), GPS კოორდინატებით	700.00			
5	საკვლევი ტერიტორიის კვადრატებად დაყოფის სქემა	750.00			
6	არქეოლოგიური კვლევისას გამოვლენილი ძეგლების განლაგების სქემა და ანაზომი	1250.00			
7	არქეოლოგის ხელმოწერით დადასტურებული შურფების განლაგების სქემა	655.00			
8	კროკების შედგენა	1000.00			
9	გამოხაზული ნახაზები (მასშტაბი 1:25, 1:20) ძირითადი პარამეტრების ზომების დატანით	1000.00			
10	ტექსტური აღწერილობა	750.00			
	II თავის ჯამი	9855.00			
	სულ პირდაპირი ხარჯები I+II				42080.00
	ზედნადები ხარჯი	10%			4208.00
	ჯამი				46288.00
	გეგმიური დაგროვება	8%			3703.04
	ჯამი				49991.04

შპს „არქიტექსი"-ს დირექტორი
ვლადიმერ ტეფნაძე